საქართველოს მთავრობის

დადგენილება №461

2023 წლის 27 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – დაცული ზონისა და მცენარის პასპორტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №591 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – დაცული ზონისა და მცენარის პასპორტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №591 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/12/2018, 240110000.10.003.020904) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – დაცული ზონისა და მცენარის პასპორტის“:

1. მე-6 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები:

„ი) დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ჯიშის დასახელებას ან საჭიროების შემთხვევაში – მცენარეთა ჯგუფის დასახელებას, საძირეების შემთხვევაში – ჯიშის დასახელებას ან მის აღნიშვნას/სახელწოდებას;

კ) წარმოშობის ქვეყანას ან ქვეყნის ორნიშნა ISO კოდს.“.

2. დანართ №2-ს („მცენარის პასპორტის ნიმუშები“) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. **დეკორატიული მცენარის პასპორტი**

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

მცენარის პასპორტი/Plant Passport **საქართველო (GE)**

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს კოდი – „სეს“

ბიზნესოპერატორის რეგისტრაციის №

ინდივიდუალური სერიული, ან კვირის, ან პარტიის №

ბოტანიკური დასახელება (ლათინურად)

ჯიშის დასახელება ან საჭიროების შემთხვევაში – მცენარეთა ჯგუფის დასახელება,

საძირეების შემთხვევაში – ჯიშის დასახელება ან მისი აღნიშვნა/სახელწოდება მცენარის რაოდენობა წარმოშობის ქვეყანა ან ქვეყნის ორნიშნა ISO კოდი“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**